განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ორგანულ კანონში „ადილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტი წარმოადგენს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანამდევ პროექტს. კერძოდ, ცვლილების მომზადების საჭიროება წარმოიშვა იმ გარემოებიდან, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლი არ ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მუდმივმოქმედი საბჭოს/სამუშაო ჯგუფის ფორმირების შესაძლებლობას, გარდა დროებითი სამუშაო ჯგუფისა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს და „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის „მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს“ ფორმირების უფლებამოსილების მინიჭებას, რომელიც ადგილობრივ დონეზე წარმართავს გენდერულ საკითხებზე სისტემურ მუშაობას და უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თემატურ კოორდინაციას საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტი არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე
კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები
კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება
კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან
კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ა/ო „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრი - მანანა კობახიძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრი - მანანა კობახიძე